საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელიზავეტპოლის 156-ე ქვეითი პოლკი

ელიზავეტპოლის 156-ე ქვეითი პოლკი გენერალ თავად პ. ციციანოვის სახელობისა, შეიქმნა 1863 ნოემბერს ე-ის ქვეითი პოლკის სახელწოდებით, 1864 წ. 25 მარტს მიანიჭეს N156, 1891 წ. 25 მარტს კი – გენ. თავად პ. ციციანოვის სახელი. პოლკმა თავი გამოიჩინა რუს.- ოსმ. ომში (1877–78). მის I, III და IV ბატალიონებს უბოძეს გიორგის დროშა, რ-ზეც ეწერა: „არდაჰანის აღებისათვის 1877 წლის 4 და 5 მაისს", ხოლო II ბატალიონს – იგივე დროშა წარწერით „ალაჯის მაღლობებზე ბრძოლისათვის 1877 წლის 3 ოქტომბერს".

ლიტ.: Хроника Кавказских войск, в 2-х частях. Сост. ген.-майор в отставке А. Л. Гизетти, под ред. ген.-лейт. Чернявского, Тфл., 1896.

ო. ჟორდანია